“ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9, “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებაში „ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ” კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 და „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის 19 ნოემბრის N712/11 გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ მიეცა თანხმობა შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალებები და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV), ციფრული სატელეფონო (VOIP) და ინტერნეტის საცალო მომსახურების საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის) შეძენაზე.

კომისიაში შემოსული შპს „მაგთიკომის” წერილების თანახმად (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი N‰-6/7410-16; N ‰-6/7412-16 22.07.16), შპს „კავკასუს ონლაინსა” და შპს „მაგთიკომს“ შორის მიმდინარე წლის 30 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „კავკასუს ონლაინის“ საცალო აქტივები 2016 წლის აგვისტოს თვეში გადაეცემა შპს „მაგთიკომს“ და გადაცემის მომენტიდან აბონენტებს მომსახურებას გაუწევს შპს „მაგთიკომი“. ხელშეკრულების თანახმად, შპს „კავკასუს ონლაინმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შპს „მაგთიკომს“ საცალო მომსახურებების გასაწევად საჭირო ყველა აქტივი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვები. შპს „მაგთიკომმა“ 2016 წლის 27 ივლისის №16/07/27-11 წერილით კომისიას აცნობა, რომ ვინაიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობები შესრულდა, აქტივების გადაცემის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 1 აგვისტო. შესაბამისად, 2016 წლის 1 აგვისტოდან შპს „კავკასუს ონლაინი“ შეწყვეტს და შპს „მაგთიკომი“ გააგრძელებს ბოლო მომხმარებლისათვის საცალო მომსახურების მიწოდებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „მაგთიკომზე“ უნდა გავრცელდეს შპს „კავკასუს ონლაინისათვის“ ბოლო მომხმარებლის საცალო ბაზრის სეგმენტზე კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9, 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 და 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებებით დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ 2016 წლის 28 ივლისის N525/22 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9, 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 და 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის მიზნით.

საკითხის მოსმენა გაიმართა კომისიის 2016 წლის პირველი სექტემბრის ზეპირი მოსმენის და ასევე 8 სექტემბერის კომისიის სხდომებზე. სხდომებს ესწრებოდნენ შპს „მაგთიკომი”, შპს „ახალი ქსელების” და შპს „სისტემ ნეტის” წარმომადგენლები.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის (დ.გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორამცია იმის შესახებ, რომ კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9, 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 და 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებებით შპს „კავკასუს ონლაინი“ ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და მას დაკისრებული აქვს რიგი სპეციფიკური ვალდებულებებისა. კერძოდ:

1. ”ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 და “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებით, “ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ” კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილებების თანახმად, შპს „კავკასუს ონლაინი” დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად ფიქსირებულ მისამართზე ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე ქ. თბილისის გეოგრაფიულ ზონაში და დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება

2. „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინი” ცნობილი იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:
ა) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;
დ) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება;
ე) ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება.

„საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2016 წლის 31 მაისის N336/19 გადაწყვეტილებით საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შპს „კავკასუს ონლაინის“ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად დადგენის დროს აღინიშნა, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივების შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენის და გადაცემის დადასტურების შემდეგ კომისიამ უნდა იმსჯელოს აღნიშნული გარიგების შედეგად შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლების გეოგრაფიულ ზონაში არსებული საკანალიზაციო არხების გათვალისწინებით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული მდგომარეობის შეფასებაზე და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის 620/9 გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ შპს „მაგთიკომისათვის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემამდე, ანუ 2016 წლის 1 აგვისტომდე, ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლების გეოგრაფიულ ზონაში საკანალიზაციო არხების ოდენობები მოცემულია ცხრილში:

ვაჟა-ფშაველას კვარტლები

გეოგრაფიული ზონა (უბანი)	ტრანშის სიგრძე	არხის სიგრძე	წილი არხის სიგრძის მიხედვით %
ახალი ქსელები	17,948	25,935	13.3%
ახტელი			0.0%
კავკასუს ონლიანი	26,284	26,284	13.5%
სისტემნეტი	1,616	5,691	2.9%
მაგთიკომი	2,415	3,356	1.7%
სილქნეტი	30,546	133,816	68.6%

”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად, ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა. რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე:

ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლების გეოგრაფიულ ზონაში შპს „ახალი ქსელები“ და შპს „სისტემ ნეტი“ (როგორც აფილირებული პირები) ერთობლივად ფლობენ საკანალიზაციო არხების 16,2 პროცენტს, შპს „მაგთიკომი“ 15,2 პროცენტს და სს „სილქნეტი“ 68,6 პროცენტს. შესაბამისად, ქ.თბილისის ადგილობრივი მომსახურების ვაჟა-ფშაველას კვარტლების გეოგრაფიულ ზონაში მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები არიან სს „სილქნეტი”, შპს „ახალი ქსელები”, შპს „სისტემ ნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ ერთობლივად.

შენიშვნა: შპს ”სისტემ ნეტი” არის შპს ”ახალი ქსელების” 10 პროცენტი წილის მესაკუთრე, ამასთან ფიზიკური პირი ავთანდილ იაშვილი შპს „სისტემ ნეტში“ ფლობს წილის 29.35 პროცენტს, ხოლო შპს „ახალ ქსელებში“ წილის 33,18 პროცენტს. ფიზიკური პირი ფრიდონ ინჯია შპს „სისტემ ნეტში“ ფლობს წილის 15,32 პროცენტს, ხოლო შპს „ახალ ქსელებში“ წილის 46,25 პროცენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ”ახალი ქსელები” და შპს ”სისტემ ნეტი” ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ”ჳ[33]” ქვეპუნქტის თანახმად (ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია) წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს, რის გამოც მათი საბაზრო წილის ოდენობა განხილულია ერთობლიობაში.

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების ზონაში (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის თაობაზე.

პირველი სექტემბრის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მონალეობის შემსრულებელმა დ.გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილების 4.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე კომისიაში წარმოადგინოს ინფორმაცია, ბოლო მომხმარებლების რაოდენობის, დანახარჯების განაწილებისა, სატარიფო გეგმების და სხვა ავტორიზებული პირებისგან მიღებული შემოსავლების თაობაზე. იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის (დანახარჯების გარდა) კომისიისთვის ავტორიზებული პირების მიერ ყოველთვიურად მოწოდება ხორციელდება კომისიის სტატისტიკური ბაზის საშუალებით, ამიტომ აღნიშნული ვალდებულების არსებობა აღარ არის რელევანტური და შესაბამისად უნდა გაუქმდეს კომიიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილების 4.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

დ.გოგიჩაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 და 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ინტერნეტის ქსელით საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტის წინასწარ რეგულირებას მოძველებულია და ისინი აღარ შეესაბამება ინტერნეტის ქსელით საცალო მომსახურების ბაზარზე დღეს ჩამოყალიბებულ კონიუქტურას და საბაზრო ტენდენციებს. შესაბამისად აღნიშნული გადაწყვეტილებების გადახედვის მიზნით აუცილებელია ახლო მომავალში ბაზრის აღნიშნულ სეგმენტზე კვლევისა და ანალიზის ჩატარება.

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის წინადადებებს: ა)კომიიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილების 4.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გაუქმების და ბ) ინტერნეტის ქსელით საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამს სეგმენტზე კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და IX თავის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ”ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 პუნქტი:

„20. წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინისათვის” დაკისრებული ვალდებულებების შესრულება 2016 წლის 1 ოქტომბრიდან დაეკისროს შპს „მაგთიკომს.“;

2. “ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ” კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინისთვის” დაკისრებული ვალდებულებების შესრულება 2016 წლის 1 ოქტომბრიდან დაეკისროს შპს „მაგთიკომს.“;

3. გაუქმდეს “ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ” კომიიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილების 4.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

4. „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

ა) გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა.ა) ქ.თბილისის დიღომი-ვაშლიჯვარის, გლდანის კენტი მიკრორაიონების და ნუცუბიძის მიკრორაიონების ადგილობრივი მომსახურების ზონებში სს ”სილქნეტი”, შპს ”ახალი ქსელები” და შპს ”მაგთიკომი“ ერთობლივად; ვაჟა-ფშაველას კვარტლების ადგილობრივი მომსახურების ზონაში სს ”სილქნეტი”, შპს ”ახალი ქსელები”, შპს „სისტემ ნეტი“ და შპს ”მაგთიკომი“ ერთობლივად;

ბ) გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს „კავკასუს ონლაინისთვის” დაკისრებული ვალდებულებების შესრულება 2016 წლის 10 ოქტომბრიდან დაეკისროს შპს „მაგთიკომს.“;

5. უზრუნველყოს შპს „მაგთიკომმა“, შპს ”ახალმა ქსელებმა” და შპს „სისტემ ნეტმა“ კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ შემთხვევებში განახლებული მოწვევის ოფერტების კომისიაში წარმოდგენა და გამოქვეყნება 2016 წლის 1 ოქტომბრამდე;

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

7. დაევალოს კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს ინტერნეტის ქსელით საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამს სეგმენტზე კონკურენციის შესწავლის მიზნით კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე წინადადებების მომზადება.

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	ე.ასანიძე
კომისიის წევრი	კ . ბექაური
კომისიის წევრი	გ. ფრუიძე
კომისიის წევრი	მ. ქათამაძე